სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/185

ქ. თბილისი

18 ნოემბერი 2025 წ

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მ/შ-ს მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2025 წლის 13 ნოემბრის საბჭოს სხდომის № 4 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 ნოემბრის№01-05-02/26 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   - 1.1 ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (240 კრედიტი);
   - 1.2 ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (180 კრედიტი);
   - 1.3 მაგისტრატურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (120 კრედიტი);
   - 1.4 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“;

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2026-2027 სასწავლო წლიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**